საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაპანაძე რევაზ ვლადიმერის ძე

კაპანაძე რევაზ ვლადიმერის ძე (დ. 22. IV. 1924, სოფ. ჩხირაული, ახლანდ. ჭიათურის მუნიციპალიტეტი), პათოლოგანატომი. მედ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1971), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1984). საქართვ. სამედ.-ბიოლ. მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი (1995). 1948 დაამთავრა თსსი. 1949-იდან იყო საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს მ. წინამძღვრიშვილის სახ. კლინიკური და ექსპერ. კარდიოლოგიის ინ-ტის პათოლ. მორფოლოგიისა და ჰისტოქიმიის ლაბორ. მეცნიერი მუშაკი, გამგე (1960-იდან); თსსი-ის პათოლ. ანატ. კათედრის პროფესორი (1973). საქართვ. პათოლ. ანატ., კარდიოლოგიის, ბიოფიზიკის სამეცნ. საზ-ბების, თსსი-ის ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს წევრი (1978).

კ. იკვლევდა გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიის, მიოკარდიოპათიის, ათერო-სკლეროზისა და ჰიპერტონულ დაავადებათა საკითხებს, უეცარი კარდიული სიკვდილის თანატოგენეზს და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1999).

თხზ.: მიტრალური სტენოზის პათოლოგიური ანატომია, თბ., 1968; მიოკარდის სტრუქტურული ცვლილებები და მათი შექცევადობა გულის მუშაობის სხვადასხვა ფუნქციური მდგომარეობის დროს, თბ., 1969.